Guria Fruits

სერტიფიცირებული ღვინო

საქართველო ფართოდაა ცნობილი ღვინის მრავალფეროვნებით, გურიას კი თავისი დიდი წვლილი შეაქვს ღვინის წარმოების ტრადიციის გამდიდრებაში.ადგილობრივად მოყავთ ისეთი ყურძნის სახეობები, როგორებიცაა ოჯალეში, ჭვიტილური, ჩეჭიპეში, ჩხავერი, ჯანი და მტევანდიდი. ამის გარდა, გურული ღვინის უნიკალურ გემოში წვლილი შეაქვს სხვა ადგილობრივად მოყვანილ ხილსაც.

ღვინის მეწარმეები უკვე სარგებლობენ გურული ხილის სქემით. დამატებით ინფორმაციას თავად მათზე და მათი ნაწარმის შესახებ შეგიძლიათ გაეცნოთ მოცემულ ბმულზე: https://guriafruits.ge

პროექტი სახელწოდებით *გურიის ხილი* ხორციელდება პოლონეთში მდებარე ტარჩინისა და საქართველოში მდებარე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების მიერ, მოსახლეობის მხრიდან ადგილობრივი განვითარების მხარდასაჭერად. ორივე მუნიციპალიტეტს გააჩნია მსგავსი დამახასიათებელი თავისებურებები და გამოწვევები: მრავალფეროვანი ხილის წარმოება, ხეხილის ბაღები, ყურადღების გამახვილება ტრადიციულ სახეობებზე და ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მხარდაჭერა. პროექტის მიზანია წაახალისოს დარგთაშორისი თანამშრომლობა მუნიციპალიტეტებსა და აგრარულ ბიზნეს სექტორს შორის, რაც მხარდაჭერილია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

პროექტს აქვს პრაქტიკული ხასიათიც და დაგეგმილია გრძელვადიანი თანამშრომლობის სახით. დაარსდა ადგილობრივი ხილის გადამამუშავებელი ინკუბატორი, რომელიც შეიქმნა და აღიჭურვა საერთო ხილის გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურით, რათა წაახალისოს ადგილობრივი თანამშრომლობა და საზოგადოების განვითარება. აღნიშნული ინკუბატორი დაარსდა გურიის ხილის ბრენდის ქვეშ, რომელიც მართულია ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის-გურული ვაზისა და ღვინის კლასტერის მიერ. შეიქმნა და წახალისებულია ხარისხის სერტიფიკატი და ხარისხიანი საკვების საერთო ბრენდირება ისევე, როგორც მიკვლევადობის საშუალებები.

პროექტი თანადაფინანსებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, პოლონური დახმარება 2023-ის ფარგლებში.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით მითითებულ მისამართზე:
info@guriafruits.ge

GMINA NATURALNIE ATRAKCYJNA

Polish aid